UDC 355.48:355.45.//20//
SCOPUS CODE 3311
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-416-428

ისლამისტური ტერორიზმი და მისი პრევენცია წინმსწრები დარტყმების გზით

იოსებ ავსაჯანიშვილი — სამხედრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, თადარიგის დაზვერვის პოლკოვნიკი
E-mail: sospoavs@gmail.com

ვახტანგ კაპანაძე — ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: vakhokapgg@gmail.com

გიორგი სურმავა — ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: surmavag@yaghoo.com

რეცენზენტები:

ი. ბუიშვილი, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ვიცე-პოლკოვნიკი
E-mail: ibuishvili@mod.gov.ge

თ. შუბლაძე, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: shubladze.tengizi@gmail.com

ანოტაცია. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ისეთი სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, როგორიცაა გლობალური მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოში. წარმოდგენილია ისლამური ექსტრემიზმის არსი და მასთან დაკავშირებული შეხედულებები, მოსაზრებები, ტენდენციები და კომპონენტები, ასევე ისლამური ფასეულობების მიმართ სენსიტიურად განწყობილი ახალგაზრდების მოზიდვისა და ტერორისტული აქტივობის გაფართოების მიმართულებით არსებული საფრთხეები. ამ საკითხებში თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენებას, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გაშლილ საინფორმაციო ბრძოლაში, მნიშვნელოვან როლი ინფორმაციულ დომეინს ენიჭება.

განხილულია მოსაზრება ხსენებული პრობლე-

ბის გადაჭრის შესახებ, რომლის ერთ-ერთი ხელშემწყობი ელემენტია ქვეყნებში დახვეწილი და კარგად აწყობილი საგარეო დაზვერვის სამსახურების არსებობა, მათი როლი ამ პრობლემასთან ბრძოლაში. თანამედროვე სამყაროში არსებული ტერორისტული საფრთხეებიდან გამომდინარე, დაზვერვის სამსახურებისთვის მნიშვნელოვანია მოქნილი მოქმედების შესაძლებლობა, მათი პოტენციალის სრულად გამოყენება, ქვეყანაში სადაზვერვო ინფორმაციის მართვის დახვეწილი სისტემის არსებობა და უცხოელ კოლეგებთან ერთად პრევენციული/პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. ყოველივე აღნიშნულისთვის საჭიროა, რომ ქვეყანას ჰქონდეს სანდო და პროგნოზირებადი სადაზვერვო ინფორმაციის შემუშავების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის მთავრობის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი საფუძველია.

საკვანძო სიტყვები: არალეგალური მიგრაცია; დაზვერვა; ეგზისტენციალური საფრთხე; ისლამური ექსტრემიზმი; პრევენციული დარტყმები; ტერორიზმი; ჯიჰადი.

შესავალი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ იმრავლა იმ ადამიანთა რაოდენობამ, ვინც გადაწყვიტა, რომ, ისლამისტური შეხედულებიდან და რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, საკუთარი თავი მსხვერპლად გაეღო და სიცოცხლე გაეწირა ჯიჰადის *(შენიშვნა: ამ შემთხვევაში ჯიჰადის გაგებით – მუსულმანთა წმინდა ომი)* გზით. ისლამური ექსტრემიზმი და შარიათის კანონების უზენაესობის იდეოლოგია არის თვითმკვლელ ექსტრემისტთა თვითშეწირვის ძირითადი მიზეზი. ისმის კითხვა - „საერთოდ რა არის ისლამური ექსტრემიზმი და რაში მდგომარეობს მისი არსი? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა შეხედულება, მოსაზრება და განმარტება. მსოფლიოში არსებული დღევანდელი სიტუაცია ადასტურებს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებისა და თავისუფლების უგულებელყოფით ისლამური ექსტრემიზმი გამოხატავს მტრულ დამოკიდებულებას დემოკრატიული საზოგადოების ზოგადსაკაცობრიო პრინციპებისა და ფასეულობების მიმართ. აქედან გამომდინარე, აშკარად იკვეთება ტენდენცია, რომ იგი შეიძლება გადაიქცეს ეგზისტენციალურ საფრთხედ თანამედროვე სამყაროსა და დასავლეთის ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი დემოკრატიული ღირებულებებისთვის. საკითხის ყურადღებით შესწავლის შედეგად ჩნდება რამდენიმე ფაქტორი, რომლებსაც ლოგიკურად და არგუმენტირებულად მივყავართ აღნიშნულ მოსაზრებამდე და ვფიქრობთ, რომ საინტერესოა მისი ყურადღებით განხილვა.

ძირითადი ნაწილი

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური ექსტრემიზმის განუყოფელი კომპონენტია ჯიჰადის იდეა. ყურანში სიტყვა ჯიჰადი საკმაოდ ბევრჯერაა ნახსენები და საგულისხმოა, რომ იგი სხვადასხვა მნიშვნელობით[1] გამოიყენება. ჯიჰადი იყოფა ორ ძი-

[1] მისი მნიშვნელობებია: „ძალისხმევა“, „გულმოდგინება“, „მონდომება“, „სარწმუნოებისთვის ბრძოლაში თავგამოდება *(რაც თავისთავად შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გულისხმობს)*, „ბრძოლა რაიმეს მისაღწევად“ ანუ ეს სიტყვა ყოველთვის ომს არ ნიშნავს.

რითად ჯგუფად – შემტევი და თავდაცვითი. შემტევი ჯიჰადის მიზანია, რომ პოტენციური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ აწარმოოს პრევენციული ომი მუსულმანური მიწების დასაცავად, ხოლო თავდაცვითი ჯიჰადის მიზანი – საომარი მოქმედებების დაწყება მაშინ, თუ მოხდა სამხედრო თავდასხმა მუსულმანურ ქვეყანაზე[2]. მიუხედავად ამისა, რადიკალი ისლამისტები, ხშირ შემთხვევაში, თავისებური, სახეშეცვლილი ინტერპრეტაციით მოუწოდებენ მათ მიმდევრებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები „ურწმუნოების"[3] წინააღმდეგ ჯიჰადში მონაწილეობისთვის. ისინი ამას სარწმუნოების წინაშე ინდივიდუალურ მოვალეობად ხსნიან და ეს ხდება უმეტესად იმ მუსულმანებისთვის, რომლებიც სწორედ ამ ქვეყნებში ცხოვრობენ *(და არამარტო)*, მაგრამ გამოსულნი არიან ისლამური ქვეყნებიდან. ასეთი შეხედულება „ამართლებს" ადგილობრივი მუსულმანების *(ანუ ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მუსულმანების)* მიერ დასავლეთის ქვეყნებში ტერორისტული აქტების განხორციელებისკენ მოწოდებას, რადგან მათი მოსაზრებით დასავლური ცხოვრების წესი საფრთხეს უქმნის ისლამის პრინციპებს[4]. სხვა ფაქტორი, რომელიც ჯიჰადს უკავშირდება, არის მოწამეობრივი სიკვდილი ისლამის რელიგიური იდეებისთვის. ამის მიხედვით რიგით მუსლიმებსაც კი მოეთხოვებათ ალაჰისთვის ბრძოლა და ეს მომენტი კარგად მოქმედებს მათ მიერ სიკვდილის ფსიქოლოგიურ აღქმაზე ანუ მათი რწმენით ეს არის ალაჰისათვის გადადგმული ნაბიჯი და ასეთ ომში დაღუპული მუსულმანი ხდება შაჰიდი *(ანუ მოწამე)*, რომელიც აუცილებლად ცხონდება. ეს საუკეთესო პირობებს ქმნის ტერორისტებისთვის, რათა მათ იოლად შეძლონ რადიკალური ისლამის ახალგაზრდა მიმდევართა რეკრუტირება იმ მიზნით, რომ შემდგომში ისინი გამოყენებულ იქნენ სუიციდური ტერორისტული თავდასხმების განსახორციელებლად. ამის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია რამდენიმე წლის წინ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მუსულმანთა მასიური რეკრუტირების ფაქტები ისლამური სახელმწიფოს *(იგივე ISIS იგივე IGIL [5])* რიგებში.

დღევანდელი მთელი ცივილიზებული სამყარო ყოველდღიურად დგას ტერორისტული საფრთხეების წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი სხვაობაა ისლამურ ექსტრემიზმსა *(შენიშვნა. ეს მიჩნეულია პოლიტიკური ექსტრემიზმის ფორმად)* და ისლამურ ტერორიზმს შორის. საგულისხმოა, რომ ტერორიზმი ზოგადად არის ექსტრემიზმის ერთ-ერთი

[2] ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო მუსულმანურ ქვეყანაზე, არამედ თავდასხმა მუსულმანურ მიწაზეც კი, რამეთუ ღაზას სექტორი არაა სახელმწიფო.

[3] რადიკალური ისლამისტების აღქმით „ურწმუნო" არის ყველა არამუსულმანი, ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენელი ან თუნდაც საერთოდ რელიგიიდან შორს მდგომი/ურწმუნო *(ანუ ათეისტი)* ადამიანი.

[4] კომენტარი: საგულისხმოა, რომ მიუხედავად ასეთი შეხედულებებისა, მუსულმანური სამყაროს ნაწილი უარს არ ამბობს დასავლურ სიკეთეებზე, კომფორტზე, დასავლეთის ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციაზე და მათი სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე საკუთარი ქვეყნების ეკონომიკაში. ამ სამყაროს ბევრი წარმომადგენელი ტოვებს საკუთარ სამშობლოს და უკეთესი ცხოვრების საძებნელად საცხოვრებლად გადადის დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.

[5] ISIS - აბსოლუტურად გაუგებარი წარმონაქმნი, რომელიც სრული მოულოდნელობა იყო მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროსათვის.

შემადგენელი ელემენტი, აგრესიულ პროპაგანდასა და დივერსიულ მოქმედებებთან ერთად. მაგრამ ტერორიზმმა პრაქტიკულად აჩვენა და დაამტკიცა კიდეც, რომ იგი არის საკმაოდ ეფექტური იარაღი „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში როგორც ფიზიკური განადგურების, ისე დაშინების მიზნით.

ზოგადად, არამუსულმანები შარიათის *(ისლამური კანონმდებლობა)* შესაბამისად იყოფიან 4 კატეგორიად: „ზიმი“, „მუაჰიდი“, „მუსტამანი“ და „ხარბი“.

ზიმი – არამუსულმანი „წიგნის ხალხიდან“, რომელიც ცხოვრობს „დარ ალ-ისლამში“ *(მუსულმანების ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქვეყანა).* მან უნდა გადაიხადოს გადასახადი „ჯიზია“ და ამ შემთხვევაში იქნება ისლამის კანონებით დაცული.

მუაჰიდი – არამუსულმანი, რომლის სახელმწიფოსა და ისლამურ სახელმწიფოს შორის არსებობს სამშვიდობო შეთანხმება.

მუსტამანი – არამუსულმანი, რომლის ქვეყანა იმყოფება მუსულმანებთან საომარ მდგომარეობაში, თუმცა მუსულმანებისგან მიღებული აქვს პირადი უსაფრთხოების გარანტია. მას შეუძლია იცხოვროს „დარ-ალ-ისლამში“.

ხარბი *(მონაწილე ომში)* – არამუსულმანი, რომელიც არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ სამ კატეგორიას. ის ნებადართულია მოიკლას, ხოლო მისი ქონება მითვისებულ იქნეს.

დღეს აშკარად ჩანს, რომ რადიკალური ისლამური ტერორიზმი გადავიდა გლობალიზაციის ფაზაში, რაც იმით გამოიხატა, რომ ამ ორგანიზაციებმა გააფართოეს მოქმედების არეალი მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით. გლობალიზაციასთან ერთად გაიზარდა თავდასხმების ლეტალურობაც. ამან კი გამოაჩინა ტერორისტული დაჯგუფებების აშკარა განზრახვა, რომ გაანადგურონ/დახოცონ რაც შეიძლება მეტი ადამიანი.

ხალხის მასობრივი მკვლელობა ისლამური ტერორისტებისთვის გადაიქცა მათი მოქმედების ჩვეულებრივ ფორმად, რამაც უკვე წარმოქმნა ახალი საფრთხე მასობრივი განადგურების იარაღის (მ.გ.ი.) ან „ბინძური ბომბის“ შესაძლო გამოყენების კუთხით. ამ მოსაზრებისთვის არსებობს ორი მიზეზი: ჯერ ერთი, მასობრივი განადგურების ქიმიური ან/და ბიოლოგიური იარაღი მიმზიდველია შედარებით მცირე ზომებისა და მასიური ეფექტის თვალსაზრისით[6]; მეორე – თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება აიოლებს მისი ხელში ჩაგდების შესაძლებლობას, ვიდრე ეს იყო ადრე. ფაქტია, რომ ბირთვული ტექნოლოგიები დღეს უკვე ხელმისაწვდომი გახდა განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, რაც სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს ამ ქვეყნებში არსებული სირთულეების გამო, უსაფრთხოების დაცვის კუთხით. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში არსებული მძიმე სოციალური სიტუაცია ზრდის ბირთვული მასალების, ტექნოლოგიების და ამ იარაღის შემადგენელი ელემენტების ტერორისტების ხელში ჩაგდების რისკს. იგივე ხდება ქიმიურ და ბიოლოგიურ აგენტებთან დაკავშირებითაც და საშიშია ის, რომ საზოგადოებრივი ადგილების მაღალი სიმჭიდროვის პირობებში *(დიდი სავაჭრო ცენტრები, სატრანსპორტო ხაზები, მასობრივი ღონისძიებები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, დასვენებისა და გართობის ადგილები)* საკმაოდ იოლია დიდი

[6] აქ იგულისხმება როგორც დიდი რაოდენობის ფიზიკური მსხვერპლი, ისე ძლიერი ფსიქოლოგიური ეფექტიც.

რაოდენობის ადამიანის ამ იარაღით[7] დაშავება ან დასნებოვნება.

ინფორმაციული დომეინი დიდ როლს ასრულებს და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილებაა ისლამური ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ წარმოებულ საინფორმაციო ომში. დღეისათვის კარგად ცნობილი ისეთი რადიკალური ორგანიზაციები, როგორებიცაა ჰამასი, ჰეზბოლა, ალ-ქაიდა, ძმები მუსულმანები და ბევრი სხვა, საკმაოდ აქტიურად იყენებენ ინტერნეტსა და სხვადასხვა სოციალურ ქსელს, მიზანმიმართული პროპაგანდისთვის მათთვის სასურველ საზოგადოებრივ ჯგუფებში. ათასობით დაინტერესებული პირი, რომელთა შთამბეჭდავი რაოდენობა ახალგაზრდაა და მუდმივად ცხოვრობს ევროკავშირის ქვეყნებში, ხშირად სტუმრობენ ასეთ ფორუმებს და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს, იდეებს თუ პოზიციებს ისლამური ექსტრემიზმისა და ჯიჰადის გარშემო. აქედან ჩანს, რომ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება ტერორისტულ ელემენტებს საშუალებას აძლევს მარტივად გაცვალონ სასურველი ინფორმაცია და ყველაფერი ეს გამოიყენონ ერთობლივი ქმედებების კოორდინაციისთვის, დაგროვილი გამოცდილების გაზიარებისთვის და მათ ტერორისტულ აქტივობებში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გაცვლაში.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, მაგალითის სახით, ქვემოთ წარმოდგენილია ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ქაიდას სტრუქტურის ზოგადი მიმოხილვა. აღნიშნული მონახაზი აღწერს ალ-ქაიდას ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კომპონენტად:

1. ძირითადი ლიდერშიფი *(ცენტრალური სარდლობა)*

- აღწერა – ეს ცენტრალური ქვედანაყოფი უზრუნველყოფს ალ-ქაიდას საერთო იდეოლოგიურ და სტრატეგიულ მიმართულებას და აკონტროლებს მსოფლიო მასშტაბით არსებულ ფილიალების საქმიანობას.
- ამირი *(ლიდერი)* – უმაღლესი ხელმძღვანელი, სრულად კურირებს ორგანიზაციას.
- მთავარი მრჩევლები და შურა – საკონსულტაციო ჯგუფი, სადაც შედიან მნიშვნელოვანი ფიგურები და პასუხისმგებელი არიან ისეთ სტრატეგიულ საკითხებზე, როგორებიცაა პოლიტიკის შემუშავება, ფინანსური საკითხები, ლოჯისტიკა და მედიასაკითხები.
- ძირითადი კომიტეტები – მათი ზედამხედველობის სფეროებია სტრატეგიული დაგეგმარება, ფინანსები და კომუნიკაცია/კავშირი.

2. რეგიონალური ფილიალები *(ძირითადი ტერიტორიული ქვედანაყოფები)*

თითოეული ფილიალი მუშაობს გარკვეული დამოუკიდებლობის ფარგლებში, მაგრამ მყარად მიჰყვება ალ-ქაიდას იდეოლოგიურ პრინციპებს.

- ალ-ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე – ბაზირებულია იემენში და საუდის არაბეთის ნაწილზე. ფოკუსირებულია ანტიდასავლურ ოპერაციებზე,

[7] არსებობს ფაქტი უახლოესი ისტორიიდან, როდესაც 1995 წლის 20 მარტს ტოკიოს მეტროში იაპონური საკულტო მოძრაობა „აუმ შინრიკოის“ წევრებმა გაუშვეს მომწავლელი აირი ზარინი. აღნიშნული შეფასდა, როგორც შიგა ტერორისტული აქტი.

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

რეკრუტირებაზე, დასავლეთ ქვეყნებისკენ მიმართულ პროპაგანდაზე.

- ალ-ქაიდა მაღრიბის ისლამურ ქვეყნებში – ბაზირებულია ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში *(ალჟირი, მალი, ლიბია).* ჩართულია ხალხის გატაცებაში გამოსასყიდის მიღების მიზნით, კონტრაბანდაში, აჯანყებებში საჰელის რეგიონში.
- აშ-შაბააბი – მისი აქტივობის გეორაფიული არეალია სომალი და მიმდებარე აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები. ფოკუსირებულია ადგილობრივ მმართველობებზე, აჯანყებების ორგანიზებაზე; სამიზნე ობიექტებად განიხილავს აფრიკის კავშირის ძალებსა და სამოქალაქო ობიექტებს.
- ჰაიატ ტაჰრირ აშ-შამი – ბაზირებულია სირიაში და მოქმედებს რეგიონული ჯიჰადის ფარგლებში, შეზღუდული აქტივობით საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე, მაგრამ იდეოლოგიური კავშირებით ალ-ქაიდასთან.[8]
- ალ-ქაიდა ინდოეთის სუბკონტინენტზე – ბაზირებულია ავღანეთში, პაკისტანში, ინდოეთსა და ბანგლადეშში. მხარს უჭერს თალიბანთან კავშირში მყოფ ძალებს და ადგილობრივი ოპერაციების ჩატარებას.

ორგანიზაციის ასეთი საერთო სტრუქტურით ალ-ქაიდა ინარჩუნებს ერთიან იდეოლოგიას, ხოლო მის ფილიალებს საშუალებას აძლევს განახორციელონ ადგილობრივი მიზნები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ალ-ქაიდას აქვს ქვედანაყოფები, რომლებიც ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციებს ორგანიზაციის საერთაშორისო/გლობალური ქსელის ფუნქციონირების საქმეში. რეგიონულ ფილიალებს საშუალებას აძლევს კონცენტრირება მოახდინოს ადგილობრივ ობიექტებზე.

მედიისა და პროპაგანდის ქედანაყოფები – არის ალ-ქაიდას მედიაფრთა. As-Sahab-ის მსგავსი საშუალებები მართავს პროპაგანდას, ავრცელებს შეტყობინებებს და იდეოლოგიურ კონტენტს.

საფინანსო ქვედანაყოფები – მათი ამოცანაა ფინანსური სახსრების მოზიდვა შემოწირულობების, კონტრაბანდისა და კრიმინალური აქტივობის საშუალებით. ეს სახსრები გამოიყენება ოპერატიული საჭიროებების ფარგლებში.

ადგილობრივი ქვედანაყოფები და ფილიალები – ესენია პატარა, დეცენტრალიზებული ქვედანაყოფები სხვადასხვა ქვეყანაში. ხშირ შემთხვევაში მუშაობს ლოჯისტიკის საკითხებზე, ახორციელებს მეთვალყურეობას და რეგიონალური ფილიალების მხარდაჭერას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისლამური ექსტრემისტული დაჯგუფებები აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნიკურ და საკომუნიკაციო შესაძლებლობებს. ამ ტექნოლოგიების უმაღლეს დონეზე აყვანამ, თანამედროვე მსოფლიო და ცივილიზებული სამყარო დააყენა ისეთი რეალური საფრთხის წინაშე,

[8] ჰაიატ ტაჰრირ აშ-შამი ჩართულია სამხედრო ოპერაციებში ბაშაირ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ სირიაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს ორგანიზაცია განსაკუთრებული ახლო კავშირებით აღარ გამოირჩევა ალ-ქაიდასთან, იგი თავს წარმოაჩენს ანგარიშგასაწევ ძალად, რომელსაც თითქოსდა შესწევს სახელმწიფოს შექმნის უნარი და შეუძლია შექმნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ბოლო პერიოდში მან შეამსუბუქა დამოკიდებულება ქალთა უფლებებისა და რელიგიური ფანატიზმის მიმართ, მაგრამ მაინც მიიჩნევა ექსტრემისტულ ორგანიზაციად. 2024 წლის ნოემბერს, ბაშარ ასადის წინააღმდეგ სირიაში განვითარებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად, ჰაიატ ტაჰრირ აშ-შამის მებრძოლებმა დაიკავეს ქ. ალეპო და ადლიბის პროვინცია.

როდესაც ისლამურმა ექსტრემისტულმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს ჰიბრიდული თავდასხმები კონკრეტული ქვეყნების წინააღმდეგ. ამის კარგი მაგალითია ისრაელის საჰაერო თავდაცვის სისტემა „რკინის გუმბათზე“ განხორციელებული კიბერთავდასხმა 2015-2016 წელს, რამაც ის დროებით მწყობრიდან გამოიყვანა. თურქული გამომცემლობა „დილას“ *(„SABAH“, 23.11.2023)* ინფორმაციით, თავდასხმა ტერიტორიულად განხორციელდა ღაზას სექტორიდან და შემსრულებელი იყო ვინმე ომარ ზ.მ.ა., ღაზას ისლამური უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც ჰაკერული პროგრამის შექმის შეკვეთა ღაზას შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიიღო. ჩვენს რეალობაში ჰიბრიდული ომი სიახლე აღარაა, მაგრამ მისი განვითარება ბუნებრივად ბადებს ლოგიკურ კითხვას – სად არის ის გამყოფი ხაზი, რომლის იქითაც ჰიბრიდული თავდასხმის ქვეშ მყოფმა ქვეყანამ უნდა იმოქმედოს პრევენციულად? რა არის ამ საფრთხის მაჩვენებლები[9], როგორ შეიძლება შევაფასოთ საფრთხის ალბათობა/რეალურობა? სინამდილეში ვინ არის მოწინააღმდეგე ანუ ვისგან უნდა ველოდეთ თავდასხმას? უნდა ითქვას, რომ ხშირად ასეთ ომებში მტერი აშკარად არასოდეს არ ჩანს, მისი ქმედებები ფარულია და ეფექტი კი გამანადგურებელი სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სისტემებისთვის. ასეთ ორაზროვან ვითარებაში მხოლოდ კარგად განვითარებული და ძლიერი სამხედრო შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოები, რომელთაც კარგად აწყობილი/განვითარებული სადაზვერვო სისტემა და უწყებათშორისი ურთიერთობის სწორი ინსტიტუციური მიდგომა აქვს, მდგრადებია ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ.

სამხედრო ხელოვნებაში მტრის შეცდომაში შეყვანის თანამედროვე კონცეფცია მოიცავს პოტენციური მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მრავალნაირ საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებსაც შეიძლება სრულიად მოულოდნელი შედეგები მოჰყვეს. სავარაუდო დარტყმის საფრთხეში მყოფმა ქვეყანამ შესაძლოა მოწინააღმდეგის მხრიდან მისი შეცდომაში შეყვანის ქმედებები რეალურ საფრთხედ აღიქვას და პრევენციულად იმოქმედოს *(ანუ მოწინააღმდეგის მიერ შეცდომაში შეყვანის ქმედებები აღიქვას საფრთხის მოახლოებად და პირველმა გამოიყენოს სამხედრო ძალა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს დაზვერვის მიერ მოპოვებულ უტყუარ ფაქტობრივ მასალას მტრის მოქმედების შესახებ).* აქ უკვე ისმის ლეგიტიმური კითხვები: შესაძლებელია თუ არა პრევენციული დარტყმების გამართლება? თუ შესაძლებელია, მაშინ რა პირობები და გარემოებები იძლევა პირველი დარტყმის უფლებას *(კომენტარი: აღნიშნული კითხვა საკმაოდ ხშირად ისმებოდა უცხოელი პარტნიორების მხრიდან 2008 წელს, როდესაც ფართო განსჯის საგანი იყო თუ რომელი მხრიდან მოხდა პირველი გასროლა საქართველოში აგვისტოს ომის დროს)?* საერთაშორისო სამართლის კუთხით რამდენად გამართლებული იქნება მათი პრევენციული მოქმედებები? დღევანდელი რეალობა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ომში სახელმწიფოებს არ აქვს მოწინააღმდეგის მხრიდან შეცდომაში

[9] წინასწარ შემუშავებული ზუსტი სადაზვერვო ინდიკატორების მიხედვით.

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

შეყვანის მოქმედების შედეგის მოლოდინის ფუფუნება, რადგან დღეს შეიარაღებაში არსებული თანამედროვე საბრძოლო სისტემები საკმაოდ მობილურია საბრძოლო მზადყოფნაში სწრაფად მოყვანის თვალსაზრისით და გამოირჩევა მაღალი გამანადგურებელი ეფექტით. ამავე დროს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ძნელია პრევენციული დარტყმის გამართლება, რომელიც დამყარებულია მხოლოდ სადაზვერვო-ანალიტიკურ ინფორმაციაზე. ანუ დღეს ეს არის ის დილემა, რომლის წინაშე ზოგადად დგას ყველა ქვეყანა და მათ შორის ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით კარგად განვითარებული სუპერსახელმწიფოებიც.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა არის ის, რომ ქვეყანას ჰქონდეს მოქნილი და დახვეწილი სადაზვერვო აპარატი ინფორმაციის მართვის აპრობირებული პროცედურებით, უწყებათა შორის მონაცემებისა და ინფორმაციის დროული და დაუბრკოლებელი მიმოცვლის შესაძლებლობით, მონაცემთა აღრიცხვის დახვეწილი სისტემით, სენსიტიური წყაროების სრული კონსპირაცით და სხვა. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გასათვალისწინებელია თუ რამდენად ჯდება პრევენციული დარტყმა სამართლებრივ ჩარჩოებში ანუ რამდენად გარდაუვალია და, შესაბამისად, სამართლიანი პრევენციული დარტყმის განხორციელება და ხომ არ სცილდება საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის *(ანუ ზუსტად იმ მომენტის)* განჭვრეტას, საფრთხე რამდენად რეალურია და მით უმეტეს რამდენად ეგზისტენციალური.

ყოველივე ეს მოითხოვს ძლიერი სადაზვერვო შესაძლებლობების აუცილებლობას, რათა ქვეყანას ჰქონდეს სანდო და წინმსწრები სადაზვერვო ინფორმაციის შემუშავების შესაძლებლობა. ეს კი ნებისმიერ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს კონკრეტულ მომენტში იმოქმედოს საკუთარი თავდაცვის პრინციპების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პრევენციული დარტყმა გამართლებულია თუ მოსალოდნელი საფრთხის აღქმა აგებულია ობიექტურ და ზუსტ სადაზვერვო ინფორმაციაზე.

აღნიშნულის მართებულობას ადასტურებს 2023 წლის 7 ოქტომბერს ორგანიზაცია „ჰამასის“ მიერ განხორციელებულ თავდასხმა ისრაელზე. ამ შემთხვევაში ბუნებრივია პირველ რიგში ისმის კითხვა: სად იყვნენ ისრაელის სპეცსამსახურები, რომელთაგან „მოსადი“ ობიექტურად მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ, ორგანიზებულ და წარმატებულ დაზვერვის სამსახურად. ვფიქრობ, რომ სწორედ „მოსადი“ აქ არაფერ შუაშია. სავარაუდოდ მოხდა ის, რაც კარგადაა ცნობილი დაზვერვის სამსახურების ისტორიაში[10] – ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ყურად არ იღო დაზვერვის გამაფრთხილებელი ინფორმაცია და დიდ საფრთხედ არ აღიქვა მოვლენების მოსალოდნელი განვითარების სურათი. შესაბამისად, პოლიტიკურ წრეში გაჩნდა ხარვეზი გადაწყვეტილების მიღების პრო-

[10] ამის კარგი მაგალითია, ჩვენი უახლესი ისტორიიდან, როდესაც საბჭოთა კავშირის პერიოდში გამოჩნდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უყურადღებობა, მაშინდელი უშიშროების ორგანოების მიერ მიცემული არაერთი გაფრთხილებისა მოწინააღმდეგე პოლიტიკური ბანაკის მხრიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ ცივი ომის პერიოდში. გამაფრთხილებელი სადაზვერვო ინფორმაციის უგულებელყოფამ ქვეყნის დანგრევა გამოიწვია.

ცესში და ამით კი ისარგებლა „ჰამასმა“. როგორც ჩანს, იგი წლების განმავლობაში გაძლიერდა, საფუძვლიანად მოემზადა და დაიწყო მოულოდნელი სამხედრო ოპერაცია. თითქოსდა ერთი შეხედვით სახეზეა ისრაელის დაზვერვის აშკარა კრახი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ როდესაც აწყობილია და ათწლეულების განმავლობაში გამართულად მუშაობს ქვეყნის სადაზვერვო სისტემა *(შენიშვნა: ისრაელის შემთხვევაში ეს მართლაცა ასეა)*, მაშინ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, მით უმეტეს ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და სენსიტიურ თემებზე, ხორციელდება დივერსიფიცირებულად[11] ანუ ინფორმაცია მოიპოვება წინმსწრებად სხვადასხვა სადაზვერვო სეგმენტის გამოყენებით[12].

ისრაელში დღეს შექმნილმა სიტუაციამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში ისრაელის მიერ განხორციელებული პრევენციული დარტყმით ნაკლები იქნებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ორივე მხრიდან და, რა თქმა უნდა, შემდგომი საბრძოლო მოქმედებები.

საგულისხმოა, რომ არასაკმარისი ანალიზია გაკეთებული „ჰამასის“ ხელმძღვანელობის მიერ მაშინ, როდესაც ემზადებოდნენ 7 ოქტომბრის სისხლიანი აქციისთვის. სავარაუდოდ ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს სამხედრო ღონისძიება მსოფლიოს აჩვენებდა ისრაელის სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის არაქმედითობას, რაც გამოიწვევდა პოლიტიკურ კრიზისს თელავივში, მთავრობის გადაყენებას და ა.შ. მაგრამ „ჰამასის“ ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა, რადგან წინასწარ ვერ გათვალა ორი მომენტი: პირველი - ისტორიულად ისრაელის ქცევის მოდელი: საფრთხის დადგომის შემთხვევაში მთელი ერი მომენტალურად ერთ მუჭად იკვრება და მეორე - იმისათვის, რომ მთავრობა არავინ დაადანაშაულოს სისუსტეში და პოლიტიკურ კრიზისს თავი აარიდოს, გამოწვევას პასუხობს ხისტად და რადიკალურად, რითაც აჩვენებს, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა.

ჩანს, რომ, ზემოაღნიშნული შეტევის წინ, „ჰამასის“ ლიდერებმა სავარაუდოდ ვერ გათვალეს, რომ ასეთი აქტის შემთხვევაში ისინი ვერ მოიპოვებდნენ საერთაშორისო საზოგადოების თუნდაც ემოციურ მხარდაჭერას *(შენიშვნა. რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურზე)*, ამ მხრივ მიიღებდნენ უფრო მეტ უარყოფით შედეგს, ვიდრე დადებითს. ანუ მივდივართ ბანალურ ჭეშმარიტებამდე, რომ ნებისმიერი კონფლიქტის არსი იმაში გამოიხატება, რომ კონფლიქტს ამთავრებ უფრო ძლიერი პოზიციით, ვიდრე დაწყებამდე გქონდა. სწორედ ამაში მდგომარეობს გამარჯვების არსი.

[11] ამ საკითხებზე მუშაობს არა მხოლოდ „მოსადი“, არამედ ქვეყნის სადაზვერვო საზოგადოების კიდევ ორი ძირითადი ორგანიზაცია: საერთო უსაფრთხოების სამსახური „შინ-ბეთ“ ანუ „შაბაქ“ *(კონტრდაზვერვა და ბრძოლა ტერორიზმთან)* და სამხედრო დაზვერვის სამმართველო „ამან“ *(ისრაელის თავდაცვის არმიის გენშტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფი)*.

[12] პირველ რიგში აქ იგულისხმება HUMINT, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ისეთი ტექნიკური სეგმენტები, როგორიცაა SIGINT (signal intelligence), IMINT (imagery intelligence), GEOINT (geospatial intelligence - გეოსივრცითი დაზვერვა), კოსმოური დაზვერვა (satellites intelligence) და სხვა, საიდანაც მიიღება მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, მაგალითად, სადაა განთავსებული მოწინააღმდეგის სარაკეტო სისტემები, მაგრამ HUMIN-ის გარეშე შეუძლებელია გაარკვიო თუ როდის იგეგმება მისი ამოქმედება.

პრაქტიკულად, სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ უნდა გათვალო თუ რამდენად დადებითად შეიძლება ემსახურებოდეს შენი მომავალი სამხედრო აქცია შენსავე სტრატეგიულ ინტერესებს[13].

დღეს უკვე ლეგიტიმურია დაისვას კითხვა: შეიძლება თუ არა ისლამური ექსტრემიზმი გახდეს დასავლური სამყაროს თუ მსოფლიო ცივილიზაციის ეგზისტენციალური საფრთხე? პასუხი ცალსახაა: დიახ, შეიძლება და ამ ტენდენციის წინაპირობები აშკარად ჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური პროპაგანდითა და აგიტაციით, სხვადასხვა მედია თუ ინტერნეტ-საშუალების გამოყენებით, ისლამის რელიგიური ნიშნით შეფერილი ტერორისტული ჯგუფების აქტივობით სხვადასხვა ქვეყანაში, მათ მიერ „პროფესიონალური“ ჩვევების გამომუშავებით, ხორციელდება მასიური ზემოქმედება ადამიანებზე, რომელთა შორის ყველაზე მგრძნობიარე კონტინგენტი მუსულმანური დიასპორის ახალგაზრდობაა. ძირითადად სწორედ ამ კონტინგენტიდან ხდება „ჯიჰადისტთა არმიის“ დაკომპლექტება ახალი მიმდევრებით და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. ზუსტად ეს არის ის ძირითადი ფაქტორი, რის გამოც ისლამური ექსტრემიზმი ჯერ კიდევ მთავარ პრობლემად რჩება ცივილური დასავლეთის და ზოგადად მსოფლიოსთვის.

დასკვნა

ისმის კითხვა, რაშია გამოსავალი: ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებმა (კერძოდ კი ქვეყნების სპეცსამსახურებმა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში) უნდა გააძლიეროს/განახორციელოს კოორდინირებული მუშაობა საერთაშორისო მიგრაციულ საკითხებში და ამ სფეროში არსებული დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ (განსაკუთრებით კი არალეგალური მიგრაციის პრობლემატიკაზე). მნიშვნელოვანია, რბილი ძალის საჭირო ელემენტების ეფექტური გამოყენება ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობაში და თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ზომიერ მუსლიმურ მოსახლეობაში სიმპათიების მოპოვება. ასეთი სახით შესაძლებელია, რომ დასავლეთის ქვეყნებმა გარკვეულწილად შეამციროს სავარაუდო საფრთხეების წარმოქმნის რისკის ალბათობა ანუ საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში განახორციელოს მიზანმიმართული პრევენციული და/ან პროფილაქტიკური მუშაობა. გარდა ამისა მიზანშეწონილია, მოხდეს დასავლურ ქვეყნებში ემიგრირებული მუსლიმური თემების ინტეგრაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის სოციალურ და კულტურულ გარემოში, რათა არ გაგრძელდეს მათი ერთგვარი კაფსულირება[14]. პირიქით, ეს დიასპორები გამოყენებული უნდა იქნეს დასავლური ფასეულობების, სიკეთეების და ყოველივე პოზიტიურის პოპულარიზაცი-

[13] იგულისხმება, რომ საპასუხო დარტყმები საერთაშორისო საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ავტორიტეტულმა ჟურნალისტურმა წრეებმა, სამხედრო-პოლიტიკურმა ექსპერტებმა, კონფლიქტოლოგებმა და სხვებმა შეიძლება შეაფასონ არაპროპორციულად.

[14] სიახლე არაა, რომ ემიგრანტთა მუსულმანური დიასპორები მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხია. მნიშვნელოვანია, რომ ამ ჯგუფის წევრებმა მიიღონ ადგილსამყოფელი ქვეყნის ღირებულებები, ფასეულობები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, შეისწავლონ ენა და გახდნენ ადგილობრივი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი.

ისთვის მათი წარმომავლობის ქვეყნებსა და სხვა ისლამურ სახელმწიფოებში (კომენტარი: ერთადერთი აქ, რასთანაც უხეშად და რადიკალურად შეხება ყოვლად დაუშვებელია, მისი სენსიტიურობიდან გამომდინარე, არის რელიგიის საკითხი. მაგალითისთვის გამოდგება ფრანგული სატირული ყოველკვირეული ჟურნალ „შარლი ებდოს“ (Charlie Hebdo) მიერ 2006 წელს გამოქვეყნებული წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები, რამაც მუსულმანური სამყაროს წარმომადგენელთა სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ასეთი რამ ყოველთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება პრობლემური საკითხების მოგვარების გზაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი რბილი ძალის ეფექტურობა გარკვეულწილად დაბალია თუ მას პარალელურად არა აქვს ხისტი ძალის მხარდაჭერა, საჭიროებიდან გამომდინარე. მიგვაჩნია, რომ დასავლეთის ქვეყნების დაბალანსებული ერთობლივი პოლიტიკითა და სპეცსამსახურების აქტიური ღონისძიებებით[15] კომპლექსური მიდგომა, საკმაოდ ეფექტური კონტრნაბიჯი იქნება ტერორისტული საფრთხეების წინააღმდეგ.

[15] აქტიური ღონისძიება დაზვერვაში – არის გარკვეული (ზე-)გავლენის მოსახდენად მიმართული ოპერაცია, რომელიც ითვლება სადაზვერვო მუშაობაში უმაღლეს ფორმად ანუ მესამე ეტაპად, სადაც პირველ ეტაპზე დაზვერვა აგროვებს ინფორმაციას, მეორე ეტაპზე – ამ ინფორმაციის გაანალიზება, რომლის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ თუ რა გვინდა და რისი გაკეთება შეგვიძლია. ამის შემდეგ იგეგმება და ხორციელდება თავად აქტიური ღონისძიება, მაგალითად ისეთები როგორიცაა: გარკვეული თეზისების დაყვანა ან ზეგავლენის მოხდენა გარკვეულ/მიზნობრივ აუდიტორიაზე *(ამ სიტყვის საკმაოდ ფართო გაგებით)*, რომელთა შორის შეიძლება იყვნენ ცალკეული პირები, ცალკეულ პირთა ჯგუფი(-ები), ორგანიზაციები თუ საზოგადოებები ერთ კონკრეტულ ქვეყანაში ან მთლიანად მსოფლიოში. აღნიშნული ზეგავლენის მიზანია აიძულო ხსენებული აუდიტორია მიიღოს ან არ მიიღოს გარკვეული ზომები და გადაწყვეტილებები *(ანუ გადადგას ან არ გადადგას საჭირო ქმედითი ნაბიჯები)* კონკრეტული სახელმწიფო სუბიექტის ინტერესების ფარგლებში *(შენიშვნა. სუბიექტი ანუ ამ შემთხვევაში დაზვერვა, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო ინსტანცია. აქ სიტყვა ინსტანციაში შეიძლება იგულისხმებოდეს არა მხოლოდ დაზვერვა როგორც სახელმწიფო მმართველობის ცალკეული რგოლი, რომელიც ავრცელებს მიზნობრივ ინფორმაციას, არამედ კიდევ ის ვინც აკონტროლებს ამ ინფორმაციის გამავრცელებელ სუბიექტს ანუ ამ შემთხვევში დაზვერვას).* შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სუნ ძუს იმ აზრის/იდეის გაგრძელება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ომი *(ანუ სისხლისმღვრელი ბრძოლა)* არის უკანასკნელი ეტაპი ბოლო ყველაზე კრიტიკული ნაბიჯი საკუთარი მიზნის მისაღწევად. მას ეს მიაჩნდა გონიერებისაგან შორს მდგომ ქმედებად და თვლიდა, რომ დეზინფორმაციისა და შპიონაჟის გამოყენებით უნდა ეცადო ომში გამარჯვებას მის დაწყებამდე. სწორედ ეს არის აქტიური ღონისძიება *(ანუ ერთგვარი რბილი ძალა)* და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი არსი და ძლიერება.

ლიტერატურა

1. Jihad - Library of Parliament of Georgia, Article Jihad. Last time has been verified at 02.04.2022. https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/
2. SON DAKIKA: Demir Kubbe'yi Cokertti, Mossad'I pesine takti: Gazzeli dahi genci kurtarma operasyon, ABDURRAHMAN SIMSEK, November 23, 2023.https://www.sabah.com.tr/gundem/son-dakika-demir-kubbeyi-cokertti-mossadi-pesine-takti-gazzeli-dahi-genci-kurtarma-operasyonu
3. vsajanishvili, I. (2022). Military-Engineering Intelligence Expected War and Pre-Active Stages of Combat. Georgian Technical University, Tbilisi, pp.121-123.
4. The implications of pre-emptive and preventive war doctrines: reconsiderations, Colin S.Gray Dr., July 2007.
5. https://press.armywarcollege.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1676&context= monographs
6. Terrorism Trendes and Prospects (Chapter two), 1999. Bruce Hoffman, p.p.7-35.
7. http://www.rand.org/pubs/monograph_reports/MR89.html
8. 6. - Islamist extremism and Islamist terrorism, article, Thomas Haldenwang, Director General of the Bundesamt fur Verfassungsschutz.https://www.verfassungsschutz.de/EN/topics/
9. 7. Terrorism and Weapons of Mass Destruction. (1999). Bruce Hoffman, published by Rand.
10. http://www.rand.org/pubs/papers/P8039-1.html -

UDC 355.48:355.45.//20//
SCOPUS CODE 3311
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-416-428

Islamist Terrorism and its Prevention Through Preemptive Strikes

Ioseb Avsajanishvili Academic doctor of Military Science. Reserve intelligence colonel
E-mail: sospoavs@gmail.com

Vakhtang Kapanadze Department of Buildings, Special systems and engineering support, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: vakhokapgg@gmail.com

Giorgi Surmava Department of Buildings, Special systems and engineering support, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: surmavag@yaghoo.com

Reviewers:

I. Buishvili, Senior researcher, Lieutenant Colonel, Institute of buildings, Special systems and engineering support, GTU
E-mail: ibuishvili@mod.gov.ge

T. Shubladze, PHD doctor, Senior researcher, Institute of structures, Special systems and engineering support, GTU
E-mail: shubladze.tengizi@gmail.com

Abstract. Over the past three decades, the modern civilized world has faced serious challenges such as maintaining peace throughout the world. This article presents the essence of Islamic extremism and related beliefs, opinions, trends and components.

The article also discusses the threats of attracting young people sensitive to Islamic values and expanding terrorist activity. In this regard, the article examines the use of modern technology in these matters, where the information domain plays an important role in the information war waged by terrorist organizations.

The article presents an opinion on the solution to these problems. One way to combat this global issue is for countries with developed and well-organized foreign intelligence services to work cooperatively. In the face of terrorist threats in today's world, it is important that intelligence services be flexible, make full use of their capabilities, to have sophisticated intelligence information management systems in the country, and carry out preventative and prophylactic measures in cooperation with foreign counterparts. For all of the above, it is necessary for the country to have the ability to develop reliable intelligence information, which in turn represents an important basis for political decision-making by the country's government.

Keywords: Existential danger; Iillegal migtation; Intelligence; Islamic extremism; Preventic strikes; Terrorism; jihad.

განხილვის თარიღი 26.12.2024
შემოსვლის თარიღი 27.12.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025